ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2676145

ნომერი: AR1413018

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 05.07.2016

გაცნობის თარიღი : 06.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 11 (ნაკ. N45/12) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიკო მაისურაძე პ/ნ 01024070940
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 6 ბ. 126

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: "კაია გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01.18.03.045.012
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეიმურაზ გიორგობიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01023005017

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სოფიკო მაისურაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N24, 23.06.2016წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ერეკლე II ქ. N11–ში (ძეგლი) არსებული შენობის სარდაფში სავენტილაციო დერეფნების მოწყობის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს. სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

– არქიტექტურულ პროექტში ნახაზებს უნდა ახლდეს საკადასტრო საზღვრები და განმარტებითი ბარათი სამუშაოების დეტალური აღწერით.
– წარმოდგენილი უნდა იქნას სარდაფის განივი ჭრილი.
– წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციული დასკვნა ავტორის ხელმოწერით.
– წარმოდგენილი უნდა იქნას განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
– გთხოვთ მოთხოვნის ტექსტში განგვიმარტოთ – თუ დაგეგმილი სამუშაოების შედეგად იცვლება მოსარგებლის მიერ სარგებლობის უფლებით აღებული საგანი, მაშინ მოსარგებლის თანხმობაა საჭიროა. თუ იჯარის უფლება გაუქმებულია საჭიროა განახლებული ამონაწერის წარმოდგენა, სადაც იჯარა აღარ იქნება რეგისტრირებული.
– წარმოდგენილი უნდა იქნას ყადაღის რეგისტრაციის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში კრედიტორის თანხმობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.